

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე არსებული გამოწვევები
საქართველოში და მისი შედარებითი სამართლებრივი ანალიზი

ნინო ფანცხავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის*

მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართალი

სამეცნიერო კვლევითი ხელმძღვანელი : ბესიკ ქვარცხავა, სამართლის მაგისტრი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ფანცხავა

02.07.2022

აბსტრაქტი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს როლს ქართულ მართლმსაჯულებაში. წინამდებარე ნაშრომში, ინსტიტუტის შესახებ წარმოდგენილი საერთაშორისო ისტორიული ექსკურსი ნათელყოფს, რომ საზოგადოების მხრიდან სათანადო ჩართულობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გამოხატვის შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შეძლებს მისი ძირითადი დანიშნულების შესრულებას, რაც გულისხმობს - ქვეყნის მართლმსაჯულების პროცესში სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერი ჩარევისა და კონტროლის შემცირებას.

2009 წელს საქართველოში, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, განხორციელებული ცვლილების შედეგად, რაც ითვალისწინებდა შეჯიბრებითობის პრინციპის დამკვიდრებას, ჩამოყალიბებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ქვეყნის ისტორიული, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. სსსკ-ის რელევანტური მუხლები, რომლებიც აწესრიგებდნენ ინსტიტუტის ფუნქციონირებას, თავდაპირველი რედაქციით მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავდა. თუმცა, საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზმა, კავკასიის საერთაშორისო ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის კვლევითი ინსტიტუტისა და ავტორის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა, გვიჩვენეს, რომ დროთა განმავლობაში, საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე ხდება კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა. შედეგად, საზოგადოების მხრიდან, ინსტიტუტის დადებითი კუთხით შეფასების მაჩვენებელმა იმატა.

ინსტიტუტის მიმართ არსებული ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში, არაერთი მწვავე საკითხი წარმოიშვა, რომელთა ირგვლივაც, ავტორის მიერ, ობიექტური ანალიზი ჩატარდა. პრობლემატურ საკითხთა შორის აღმოჩნდა: მსაჯულთა მიმართ ზეწოლის საფრთხე, ვერდიქტის დაუსაბუთებლობა, მედიის არაკონტროლირებადი გავლენა მსაჯულთა წინასწარი განწყობის ჩამოყალიბებაზე, მტკიცებულებათა ნულიფიკაცია და სხვ. ისეთი საკითხები,

რომელთა კრიტიკული ანალიზის, პრაქტიკის კვლევისა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტაციის გათვალისწინებით ნათელი გახდა, რომ საქართველოში შესაძლებელია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმგვარად მოქმედება, რომ ინსტიტუტი ქართული მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ მონაპოვრად იქცეს.

ვფიქრობ აღნიშნული ნაშრომი საინტერესო იქნება მათთვის, ვინც დაინტერესებულია საქართველოში მოქმედი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თემატიკით.

ძირითადი საძიებო სიტყვები : ვერდიქტი, ნულიფიკაცია, მსაჯული, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, იურისდიქცია, შეჯიბრებითი სამართალი, მედია.

Abstract

This master thesis is dedicated to the role of the jury trial in Georgian legislation. In this paper, will be reviewed short history of the institution not only in Georgia, but also internationally. Due to the historical review conducted in this work, it is clear that jury court has occupied an important place in the modern justice system and in case of proper involvement and responsibility from the Georgian society, the jury will be able to fulfill its main purpose – reducing unfair interference and control from the state in the justice system of the country.

As a result of the changes implemented in the Georgian criminal legislation, which was related to the establishment of the principle of competition in law, in 2009, due to the historical, economic and social situation of the country, jury court faced significant challenges. In the original legislation relevant articles, which were regulated the operation of the Institute contained significant flaws. However, the analysis of international and local legislation and practice, researches conducted by the Caucasus International Institute and by the author, showed us that, over time, due to the legislative changes, these flaws are being corrected. As a result, the institution is viewed in the positive point of view by the society.

In the process of research, based on the conflicting opinions towards the institute, number of acute issues arose, these issues were analyzed by the author. Among the problematic issues were: the threat of pressure on the jury, the unsubstantiatedness of the verdict, the uncontrolled influence of the media on the jury and on their point of view, nullification of evidence and other important issues. Due to the above-mentioned analysis, it should be admitted that, over time, in Georgia, it is possible for the institution to become of the the most democratic achievement of justice.

I think the following master thesis will be interesting for those who feel interested in the jury trial system and its development in Georgia.

Key search words : Verdict, jure nullification, the jury, jure trial, jurisdiction, competitive law, media.